

| | |
|--|--|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, წინიშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | უმაღლესი განათლების მენეჯმენტი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | მაგისტრი განათლების მენეჯმენტში |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. მათ შორის: - სასწავლო კურსები - 78 კრედიტი (66 კრედიტი სავალდებულო, 12 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსი); - პროფესიული პრაქტიკა - 12 კრედიტი; - სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | პროგრამა „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“ მომზადდა ტემპუსის საგრანტო პროექტის (530311-TEMPUS-1-2012-1- AM-TEMPUS-JPCR: MASTER IN HIGHER EDUCATION MANAGEMENT: DEVELOPING LEADERS FOR MANAGING EDUCATIONAL TRANSFORMATION ფარგლებში. პროგრამა შემუშავდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა გუნდის მიერ, ევროპულ პარტნიორებთან კონსულტაციების საფუძველზე. პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ ეფექტური მართვისთვის, ლიდერობისა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენციებს, მათ გააზრებული ექნებათ ეფექტური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს ორგანიზებისთვის საჭირო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისის კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი მენეჯერი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი. პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავების მიზნით დაგეგმილია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში პრაქტიკა, ორ ეტაპად. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო კვლევით ცენტრებში და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო ან კვლევით საქმიანობას. |
| სწავლის შედეგები | <p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ღრმა ცოდნა ლიდერობისათვის აუცილებელი ღირებულებების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპების, ადგილობრივი და საერთაშორისო მიღწევების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ეფექტურ მართვას და ლიდერობას; - გაცნობიერებული უნივერსიტეტებისა და მათთან ასოცირებული საზოგადოების როლი, პასუხისმგებლობა და სარგებელი სხვადასხვა პერსპექტივიდან გამომდინარე; - ცოდნა „სტუდენტზე ორიენტირებულ“ მიდგომების შესახებ და გაცნობიერებული აქვს მისი მნიშვნელობა უმაღლესი განათლების განვითარებისათვის; - ცოდნა ხარისხის უზრუნველყოფის, შესაბამისი პოლიტიკის განვითარების, მართვის სისტემის შეცვლის სახელმძღვანელო პრინციპების და არსებული გამოცდილების შესახებ. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტების სწავლის და უმაღლესი განათლების კონტექსტში მიღებული გამოცდილების გამოყენება სწავლებისა და პროფესიული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად; - მართვის პროცესების, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ცოდნისა და არსებული გამოცდილების გამოყენება უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად; - მართვის პრინციპების შესახებ ცოდნის, ლიდერობის, კომუნიკაციისა და ჯგუფში მუშაობის უნარების ეფექტურად გამოყენება უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. - მრავალფეროვან კონტექსტში უმაღლესი განათლების მართვის საკი- |

| | |
|-------------------------------|--|
| | <p>თხებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტისათვის მონაცემების (ხარისხობრივი და რაოდენობრივი) მოპოვების, ინტერპრეტირების და შესაბამისი დასკვნის გაკეთება, წარმოდგენა.</p> <ul style="list-style-type: none"> - ანგარიშებისა და სხვადასხვა დოკუმენტაციის წერილობით, გასაგებად და მეცნიერულ დონეზე მომზადება და წარდგენა. - საკუთარი პროფესიული საქმიანობის კონსტრუქციული კრიტიკა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა. - შეაფასოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებული ღირებულებების, ეროვნული და საერთაშორისო პრიორიტეტების გათვალისწინებით უმაღლესი განათლების მართვის სფეროში ახალი ღირებულებების დამკვიდრება. |
| <p>შეფასების წესი</p> | <p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D – დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი აქვს თავიდან გასავლელი.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი</p> | <p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 577 17 97 97 ელ.ფოსტა: lela.turmanidze@bsu.edu.ge</p> <p>ლელა თავდგირიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 599 50 64 30 ელ. ფოსტა: lela.tavdgiridze@bsu.edu.ge</p> |